ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 620

25 ნოემბერი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.04.020.030) ტერიტორიიდან 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, ფხოვის ქ. №6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.04.020.038) ტერიტორიიდან 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი პი ემ ჰოტელს მენეჯმენტისთვის" (ს/ნ. 400307958) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.030) ტერიტორიიდან 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ფხოვის ქ. №6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.038) ტერიტორიიდან 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი პი ემ ჰოტელს მენეჯმენტისთვის" (ს/ნ. 400307958) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 9 ნოემბრის №22.1714.1860 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.04.020.030) ტერიტორიიდან 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, ფხოვის ქ. №6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.04.020.038) ტერიტორიიდან 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი პი ემ ჰოტელს მენეჯმენტისთვის" (ს/ნ. 400307958) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთების საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 16800 (თექვსმეტი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე